21/06/2024

MES 3 24 0000719933

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 7 ივნისს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ვალერი გულბანი - ა(ა)იპ - ის - კვლევა და ინოვაცია ბიზნესის განვითარებისთვის დირექტორი / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- ქეთევან ბოტკოველი
- ელენე კაკაბაძე
- ნანა ვერულაშვილი
- მაია თოიძე
- ვერიკო ჭიღლაძე
- იაზონ დანელია

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA
დირექტორი - ია ერაძე.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ კავკასიონი“
დირექტორი - რაინდი ლომაია.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემია
დირექტორი - ნესტანი აბსავა;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - ნესტან აბსავა.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.
ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

იქედან გამომდინარე, რომ საბჭოს მდივანი მარიამ ქუჩულორია არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, საბჭოს მდივნად განისაზღვრა საბჭოს წევრი, ტიტე ბოლქვაძე.

დღის წესრიგი:

1. „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 15 აპრილის №430343 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „ კავკასიონი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო) " მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ზუგდიდის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის " ინფორმაციის ტექნოლოგია" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში საბჭო) 2022 წლის 9 თებერვლის სხდომაზე დღის წესრიგის მე-6 საკითხად განხილულ იქნა სსიპ -კოლეჯ "სპექტრში" განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხი. აღნიშნულ ოქმში დაფიქსირებულია, რომ ექსპერტთა შეფასებით, დაწესებულებას არ ჰქონდა შესრულებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ 2019 წლის 19 ნოემბერს ჩატარებული კოლეჯ სპექტრის ძირითადი სასწავლო „A“, სასწავლო-საწარმოო „B“ და სასწავლო - პრაქტიკული „D“ კორპუსების შენობა-ნაგებობების დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისას (გამოკვლევისას) დადგენილი სავალდებულოდ განსახორციელებელი ღონისძიებები. ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, საბჭომ შუამდგომლობა დააყენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში ცენტრი) წინაშე, რომ აღნიშნულ საკითხებზე პერიოდულად განხორციელდეს ინფორმაციისა და ანგარიშის მიწოდება საბჭოსთვის, თუ როგორ შესრულდება რეკომენდაციები და რა წინაპირობა ექნება აღნიშნულს (ოქმი N184564 - 23.02.22). სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ 2022 წლის პირველ დეკემბერს N1533184 სსიპ - კოლეჯ "სპექტრს'' გაეგზავნა წერილი, რომლის თანახმადაც, კოლეჯს უნდა წარმოედგინა საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ შედგენილ მიწერილობაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების ანგარიში, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2023 წლის 16 იანვრის სსიპ -კოლეჯ "სპექტრმა" წარმოადგინა წერილი N31042, სადაც აღნიშნულია, რომ სახანძრო უსაფრთხოების სისტემების მოწყობის შესყიდვა კოლეჯს უნდა განეხორციელებინა მომზადებული პროექტის შემდგომ, სატენდერო პროცედურების გათვალისწინებით, აღნიშნული სისტემების მოწყობის დასრულების სავარაუდო თარიღად განისაზღვრა 2023 წლის აპრილის თვის ბოლო. სსიპ - განათლების

ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში ცენტრი) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ 2024 წლის 05 ივნისს N626820 სსიპ - კოლეჯ "სპექტრს" დამატებით გაეგზავნა წერილი, რომლის თანახმადაც, კოლეჯს უნდა წარმოედგინა საგანგებო სიტუაციების სამსახურის მიერ შედგენილ მიწერილობაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების ანგარიში, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად, აღნიშნული წერილის პასუხად 2024 წლის 05 ივნისს N627432 სსიპ - კოლეჯმა "სპექტრი" ცენტრში წარმოადგინა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნია, საბჭოს მიეწოდოს ინფორმაცია სსიპ - კოლეჯ "სპექტრის" მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-5 სტანდარტის 5.1 კომპონენტის ინდიკატორების პსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით.

პირველი საკითხი: „ შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 15 აპრილის №430343 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრ ტიტე ბოლქვაძეს შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA- სთან აქვს აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულ პირს, რის თაობაზეც ტიტე ბოლქვაძემ განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, აღნიშნული საკითხი საბჭოს აპარატის მიერ დაშვებული უზუსტობის გასწორებას ითხოვს, სადაც გადაწყვეტილების სათაურსა და პირველ მუხლში უნდა შევიდეს ცვლილება, რაც მდგომარეობს შემდეგში - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიამ დაიმატა ლოგისტიკის პროგრამა და სწორედ ამასთან

დაკავშირებით იყო საბჭოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილება მიღებული, თუმცა სათაურში არ ჩანდა, რომ აღნიშნული პროგრამა იყო საშუალო პროფესიული პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების მესამე საფეხურის სწავლის შედეგები, შესაბამისად, ცენტრი მიმართავს საბჭოს ცვლილება შევიდეს 2024 წლის 15 აპრილის N430343 გადაწყვეტილებაში ლოგისტიკის პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით, კერძოდ, გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები და დანართშიც აისახოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია მიიღეს მხედველობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 15 აპრილის №430343 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ცვლილება განხორციელდეს „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 15 აპრილის №430343 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ისთვის „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 7 ივნისი.

მეორე საკითხი: შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „ კავკასიონი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის (სააფთიაქო) " მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ბოტკოველი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2024 წლის 05 აპრილის ბრძანების საფუძველზე (საბჭოს შუამდგომლობის გათვალისწინებით) შექმნილი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის (ჯგუფის თავმჯდომარე - ქეთევან ბოტკოველი, ჯგუფის წევრები: ელენე კაკაბაძე და ნანა ვერულაშვილი) მიერ 2024 წლის 16-17 აპრილს შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ფარმაცია (სააფთიაქო) " მონიტორინგის მიზნით, განხორციელდა ვიზიტი და შეფასდა დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) და ბ.დ) კომპონენტების, ასევე, ა) ქვეპუნქტის ა.ბ) კომპონენტის, გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის, დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის და ე) ქვეპუნქტის ე.ა); ე.ბ) კომპონენტებთან. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული მასალა, განხორციელდა ჯგუფის წევრებს შორის საკითხების განხილვა/შეჯერება, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. გეგმის თანახმად განხორციელდა შეხვედრები კოლეჯის წარმომადგენლებთან. კერძოდ, დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე, დაწესებულების ადამიანური რესურსების, მატერიალური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სასწავლო ნაწილის წარმომადგენლებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პროფესიულ სტუდენტებს და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ექსპერტთა მიერ შემოწმდა, კოლეჯში 2023 წლის ივნისში განხორციელებული ავტორიზაციის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შედეგები და დადგინდა, რომ კოლეჯმა სრულად გაითვალისწინა, როგორც სტანდარტთან შესაბამისობის, ასევე, განმავითარებელი რეკომენდაციები.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება (წინა ვიზიტის ფარგლებში):

ინდიკატორი 1.2.1.1. იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულებას ბოლო ექვსი წლის მანძილზე ძალიან ხშირად აქვს ახლიდან დამტკიცებული სტრატეგიული გეგმები, მიუთითებს ამ პროცესის აუცილებლობაზე. რეკომენდებულია დაწესებულებამ მოიწვიოს გარე ექსპერტი (სტრატეგიული დაგეგმარების მიმართულებით). **შესრულებულია**.

ინდიკატორი 3.1.1.1- საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება და პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული რეგულაციები კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანოს. **შესრულებულია.**

ინდიკატორი 4.1.1.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია მკაფიოდ განსაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები. **შესრულებულია.**

ინდიკატორი 4.1.1.2. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია განსაზღვროს კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები ისე, რომ სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება ემსახურებოდეს ერთიან გამართულ საგანმანათლებლო პროცესს. ამისათვის თვისთავად უნდა გადამუშავდეს მარეგულირებელი დებულებები და სამუშაო აღწერილობები. **შესრულებულია.**

ინდიკატორი 4.1.1.3. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გადაამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქცია მოვალეობები და გადამზადდეს ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, რათა სამუშაოს შესრულებისას გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტები. **შესრულებულია.**

ინდიკატორი 4.1.2.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს შრომითი ხელშეკრულების ფორმა და მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და თანამშრომლებთან ხელშეკრულებები ახალი რედაქციით გააფორმოს. ასევე ხელშეკრულებ(ებ)ით დაარეგულიროს თანამშრომელთა საათობრივი დატვირთვა, რათა არ დაირღვეს შრომის კოდექსით დაშვებული ნორმები. **შესრულებულია.**

ინდიკატორი 5.1.1.6 საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშაოს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმი, ასევე მოახდინოს მასალების და მატერიალური რესურსების მართვა სპეციალურ ჟურნალის წარმოებით, რათა პროცესი გახდეს გამჭვირვალე და შეფასებადი. ზოგადად, კოლეჯმა იმოქმედოს თავისივე დადგენილი წესების შესაბამისად. **შესრ ულებულია.**

ინდიკატორი 5.2.2.1 -კოლეჯს მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გადაამუშავოს საქმისწარმოების წესი, მოიყვანოს საკანონმდებლო ნორმებთან შესაბამისობაში და დაარეგულიროს კოლეჯში მიმდინარე საქმისწარმოების ყველა პროცესი სრულფასოვნად. მათ შორის დარეგულირდეს, თუ როგორ ხდება მკაცრი აღრიცხვის ფორმების შევსება, დიპლომის ან/და სერტიფიკატის გაცემა, მკაცრი აღრიცხვის ფორმების ჩამოწერა, გაცემული

დიპლომის ან/და მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის შეცვლა პირად მონაცემებში ცვლილებისა და ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში და სხვა. დარეგულირდეს ასევე მკაცრი აღრიცხვის ფორმების, დიპლომისა და სერტიფიკატის გაცემის რეგისტრაციის ჟურნალების წარმოების წესი. არსებული მკაცრი აღრიცხვის ჟურნალები აიკინძოს შესაბამისი წესით. **შესრულებულია.**

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება პროგრამისათვის „ფარმაცია (სააფთიაქო)" – (წინა ვიზიტის ფარგლებში):

ინდიკატორი 2.2.1.1. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი" მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია დროულად უზრუნველყოს ფარმაციის ლაბორატორიისთვის პროგრამისათვის საჭირო მასალა-ნედლეულის შეძენა და დაზიანებული ინვენტარის შეძენა/აღდგენა. **შესრულებულია.**

ინდიკატორი 2.2.1.2. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი" მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია პროფესიული მოდულების განხორციელება უზრუნველყოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლებით. **შესრულებულია .**

ინდიკატორი 2.4.1.6. საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი" მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გაუზიაროს ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებს პროგრამისათვის „ფარმაცია(სააფთიაქო)" შემუშავებული ,,ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის და უსაფრთხოების ინსტრუქცია", (წარმოდგენილ იქნა თბილისში ვიზიტის დროს), რომელიც არეგულირებს ქიმიურ ლაბორატორიაში მუშაობის, უსაფრთხოების ზოგად და ტექნიკურ წესებს, რომლის დაცვა ევალება ლაბორატორიაში მყოფ ყველა პირს. რეგულაციის განვითარებისათვის შესაძლებელია მისი კიდევ უფრო დახვეწა. ასევე, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს პროცესის უსაფრთხოდ წარმართვისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, რაც სრულიად შესაძლებელია ბევრად მოკლე დროში განხორციელდეს, ვიდრე შესაბამისობის გეგმაშია გაწერილი, რათა საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას არ შეეშალოს ხელი. **შესრულებულია.**

ახალი ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ არ გამოვლენილა ხარვეზები და არ გაცემულა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციები.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება (ახალი ვიზიტის ფარგლებში):

ინდიკატორი 1.2.1.3 - სასურველია დაწესებულებამ მოახდინოს შესრულების ინდიკატორების რევიზია და უზრუნველყოს მათი შესაბამისი სახით ფორმირება, მათი მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით. კერძოდ: თეორიული სწავლების აუდიტორიები; კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები; დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტები, ადმინისტრაციული სივრცეები, სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის; დასასვენებელი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის; სანიტარიული კვანძები, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირთათვის; ბიბლიოთეკა და სხვა. სასწავლო და სამუშაო სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა და მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება, როგორც ვიზუალური დათვალიერებით, ასევე სხვადასხვა აუდიტორიაში განთავსებული ინვენტარის განაწილების ფორმით და მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტებით. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, კოლეჯს ჰყავს შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელთანაც

გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები, მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ფაქტობრივი მდგომარეობის და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში დაცულია უსაფრთხოების ზომები. ის, რომ ქუთაისში, ოცხელის ქ N2 -ში მდებარე კოლეჯის „კავკასიონი“ საგანმანათლებლო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს, დასტურდება კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს მიერ 2023 წლის 20 თებერვალს გამოგზავნილი წერილით - აქტი N 34 სახანძრო ტექნიკური შემოწმების ჩატარების შესახებ, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე პასუხისმგებელი პირთან გასაუბრებით და ასევე ფაქტობრივი მდგომარების შესწავლით, დასტურდება, რომ იგი სისტემატურად თვალყურს ადევნებს კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკის გამართულობას, ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებისათვის კოლეჯში შექმნილია ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმები. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის სოციალურ ქსელში Facebook Messenger-ის გამოყენებით შექმნილია ჯგუფები, აქტიურად გამოიყენება google და ელექტრონული ფოსტა. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. კოლეჯში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია (სააფთიაქო), ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლება ფინანსდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. დაწესებულების მიერ წარდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ფარმაცია (სააფთიაქო)“

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში „ფარმაცია სააფთიაქოს“ მოდულების განსახორციელებლად გამოყოფილია რამდენიმე სივრცე: ერთი A ტიპის გარემო 56+1ადგილით მაგიდით, სკამით, დაფით, პროექტორით, თვალსაჩინოებებით, სადაც მოთავსებულია ასევე სიმულაციური აფთიაქი ბავშვთა კვების, დეკორატიული და სამკურნალო კოსმეტიკური, პრეპარატების, რეცეპტების და ავადმყოფის მოვლის საგნების ნიმუშებით (მკერდის ხუფი მეძუძური დედისთვის, ცხვირის ასპირატორი, ბავშვთა ზეთები, ტალკი და შამპუნები, ხელისა და ფეხის მოვლის საშუალებები, საპარსი საშუალებები და სხვა) , ასევე ფარმაკოლოგიისთვის სიმულაციური პრეპარატების ნიმუშები და შევსებული და შეუვსებელი რეცეპტის ბლანკები. ორი B ტიპის გარემო - პირველი B გარემო - აუდიტორია N5, 28+1 ადგილი მაგიდით, კომპიუტერით და სკამით, დაფა, ეკრანი, პროექტორი, თვალსაჩინოებები. აუდიტორია N7 28+1 ადგილი მაგიდით და სკამით, კომპიუტერი, დაფა, ეკრანი, პროექტორი, თვალსაჩინოებები;) B სასწავლო გარემო ამ პროგრამის ფარგლებში საჭიროა მხოლოდ ერთ მოდულზე, რომლის ხანგრძლივობა არის 3 კრედიტი (7 კვირა) და C გარემო, კაბინეტი 20 - 28 +1 ადგილით, სკამით, მაგიდით, 2 ღია კარადით, ქიმიური მაგიდით, ქიმიური და ტექნოლოგიური აღჭურვილობით: ქიმიური კარადებით, სველი წერტილით, გამწოვი კარადით, საშრობი კარადით, რეფრაქტომეტრით, მიკროსკოპებით, სხვადასხვა ზომის ძაბრებით, სხვადასხვა ქიმიური და ტექნოლოგიური ჭურჭლით, სასწორებით, კოლბებით, სინჯარებით, ტიგელებით, შტატივებით და სხვა ქიმიური ჭურჭლით და რეაქტივებით, რომელიც წარმოადგენს ქიმიურ-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიას. ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი წარმოადგენს პროგრამის დანართს. შესაბამისი შესყიდვის/ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, დარგის ექსპერტის მიერ, გადამოწმდა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსების არსებობა დაწესებულებაში და დადგინდა, რომ 2023 წლის ივნისში

განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გაცემული სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - დროულად უზრუნველყოს, ფარმაციის ლაბორატორიისთვის, პროგრამით გათვალისწინებული საჭირო მასალა ნედლეულის შეძენა და დაზიანებული ინვენტარის შეძენა/აღდგენა - კოლეჯმა სრულად გაითვალისწინა და დადასტურდა, რომ ლაბორატორია სრულად არის აღჭურვილი.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამით „ფარმაცია (სააფთიაქო)“ გათვალისწინებულია რვა პრაქტიკული მოდულის სწავლება, შესაბამისად კოლეჯს ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან: შპს „გეფა“-სთან“ და შპს „ავერსი ფარმასთან“. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას - კოლეჯის და პრაქტიკის ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით უზრუნველყოფილია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განხორციელებისთვის შერჩეულია 18 პირი, მათ შორის 6 ზოგადი მოდულების, ხოლო 12 პროფესიული/დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ვიზიტის პერიოდში განხორციელდა ინტერვიუ მოდულების განმახორციელებელ პირებთან. როგორც დადგინდა, ისინი მუდმივ კომუნიკაციაში იმყოფებიან პროგრამის ხელმძღვანელთან და ასევე ყველას გავლილი აქვს ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. კოლეჯის რეგულაციის მიხედვით, განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულში/სწავლის შედეგში მითითებული შეფასების მიმართულების ფარგლებში და შესაბამისი სწავლის შედეგ/ის/ების/ თემატიკაზე დაყრდნობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, მიმდინარეობდა თუ არა სასწავლო პროცესი მათი ვიზიტის დროს და ჰქონდათ, თუ არა საშუალება დასწრებოდნენ მეცადინეობებს, ან გადაემოწმებინათ შეფასების ინსტრუმენტები.

დარგის ექსპერტის განცხადებით, ადგილზე მოთხოვნილ იქნა შეფასების სისტემის ნიმუშები, დაწესებულებამ წარმოადგინა სამი მოდულის შეფასების ინსტრუმენტები. მაგალითად, სამკურნალო მცენარეებისა და ნედლეულის, ასევე, პრაქტიკის ობიექტზე ჩატარებული სწავლის შედეგების დადასტურების ნიმუშები გადამოწმებული იქნა ფარმაკოლოგიის მიმართულებით. მისი თქმით, ექსპერტები დაესწრნენ მიმდინარე პრაქტიკულ და თეორიული მეცადინეობებს, მათ მიერ მოხდა სტუდენტებთან გასაუბრებაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს კითხვით, აღნიშნული პროგრამის შესწავლის დროს იყო თუ არა გამოყენებული განმავითარებელი შეფასება პრაქტიკაში.

დარგის ექსპერტის განმარტებით, შუალედური შეფასება ფაქტობრივად მოიცავდა განმავითარებელ შეფასებას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ობიექტზე ჩატარებული პრაქტიკული მეცადინეობების დღიურები და მათში წარმოდგენილი ჩანაწერების დადასტურება, ასევე განმავითარებელი შეფასების ნიმუშებად შეიძლება იყოს განხილული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული თანამშრომლობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო) " განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“ (ს/კ: 412683813) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია (სააფთიაქო)" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 7 ივნისი.

მესამე საკითხი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ზუგდიდის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის " ინფორმაციის ტექნოლოგია" მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა

დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, მაია თოიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2024 წლის 08 აპრილის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: თოიძე მაია (ჯგუფის თავმჯდომარე), ჭიღლაძე ვერიკო და დანელია იაზონ განახორციელა მონიტორინგი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიაში და ზემოაღნიშნული ბრძანების შესაბამისად, უზრუნველყო საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან, კერძოდ: მესამე სტანდარტის 3.1 კომპონენტთან, მეოთხე სტანდარტის 4.1.და 4.2 კომპონენტებთან, მეხუთე სტანდარტის 5.2 კომპონენტთან და ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ მეორე სტანდარტის 2.2. და 2.4. კომპონენტებთან მიმართებით დაწესებულების შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიის მიერ ცენტრში გამოგზავნილი ის დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებამ განაახლა ავტორიზაციის შემდეგ: შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“, პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი (დოკუმენტს არ ახლდა დანართები), პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, კოლეჯის სტრუქტურა და შპს ,,პროსერვისთან“ გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება, დომენისა და ჰოსტინგის შესყიდვასთან დაკავშირებით. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა, წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის საფუძველზე, შეაჯერა თავისი პოზიციები და შეიმუშავა დღის წესრიგი (დანართი №1), რომლის მიხედვითაც ვიზიტისას განახორციელა თავისი საქმიანობა: მონიტორინგის მიზნებისთვის გამოთხოვილი იქნა ყველა ის დოკუმენტაცია, რაც საჭირო იყო ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების/კომპონენტების შეფასების მიზნით. გაანალიზდა კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციების დანერგვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, დათვალიერებული იქნა კოლეჯის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო რესურსებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია“ მატერიალური რესურსის შეფასების მიზნით. შედგა ინტერვიუ აკადემიის დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც ჩანიშნულია მონიტორინგი, პროფესიული სტუდენტი არ ირიცხება, რადგან აღნიშნული პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა ,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 04 ოქტომბრის MES 7 23 0001302407 ბრძანებით, 2023 წლის ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, 3.1 და 5.2 კომპონენტების ცალკეული ინდიკატორების მიზნებისთვის შედგა ინტერვიუ მიმდინარე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტებთან.

ექსპერტის განცხადებით, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, რომლის საფუძველზეც პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ ჩანიშნა მონიტორინგი, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო 10 შესაბამისობის რეკომენდაცია 3.1, 4.1, 4.2, 5.2 კომპონენტებსა და ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, 2.2. და 2.4 კომპონენტებთან მიმართებით. კერძოდ, ინსტიტუციური სტანდარტების ფარგლებში გაცემული იყო 7, ხოლო მეორე სტანდარტთან მიმართებით გაცემული იყო 3 შესაბამისობის რეკომენდაცია.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები:
ინდიკატორი - 3.1.1. (4) - პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გათვალისწინებულია, შესრულებულია.**
ინდიკატორი - 4.1.1. (2) - პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გათვალისწინებულია, შესრულებულია.**
ინდიკატორი - 4.1.1. (3) - პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/ პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გათვალ ისწინებულია, შესრულებულია.**
ინდიკატორი - 4.1.2. (3) - პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გათვალ ისწინებულია, შესრულებულია.**
ინდიკატორი - 4.2.1 (1) პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გათვალისწინებულია, შესრულებულია.**
ინდიკატორი - 5.2.2. (1) - პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გა თვალისწინებულია, შესრულებულია.**
ინდიკატორი - 5.2.2. (2) - პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის. **შესრულებულია.**

ექსპერტის განცხადებით, 3.1; 4.1; 4.2 და 5.2 კომპონენტებთან მიმართებით შესაბამისობის ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

,,ინფორმაციის ტექნოლოგიის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციები და მათი შესრულების სტატუსი (წინა ვიზიტის ფარგლებში):

ინდიკატორი - 2.2. 1 (1) - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გათვალისწინებულია, შესრულებულია.**
ინდიკატორი -2.2.1 (3) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გათვალისწინებულია, შესრულებულია.**

ინდიკატორი 2.2.1 (3) - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. შესაბამისობის რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - შესაბამისობის რეკომენდაცია **გათვალისწინებულია, შესრულებულია.**

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ დაწესებულებამ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული შესაბამისობის ყველა რეკომენდაცია შეასრულა.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები:
ინდიკატორი - 3.1.1. (1) - პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა. განმავითარებელი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - განმავითარებელი რეკომენდაცია **გათვალისწინებულია.**
ინდიკატორი - 4.1.2.(1) - პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. განმავითარებელი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - განმავითარებელი რეკომენდაცია **გათვალისწინებულია.**
ინდიკატორი - 5.2.2. (1) - პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი. განმავითარებელი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - განმავითარებელი რეკომენდაცია **გათვალისწინებულია.**

წინა ვიზიტის ფარგლებში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ მიმართებით გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები და მათი შესრულების სტატუსი.

ინდიკატორი - 2.2.2.(1)- პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. განმავითარებელი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - განმავითარებელი რეკომენდაცია **გათვალისწინებულ ია.**
ინდიკატორი - 2.2.2.(1)- პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური. განმავითარებელი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - განმავითარებელი რეკომენდაცია **გათვალისწინებულ ია.**
ინდიკატორი - 2.2.2.(2)- პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს. განმავითარებელი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - განმავითარებელი რეკომენდაცია **გათვალისწინებულია.**
ინდიკატორი - 2.1.1. (8) პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. განმავითარებელი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - განმავითარებელი რეკომენდაცია **გ ათვალისწინებულია.**
ინდიკატორი - 2.2.1. (1) - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. განმავითარებელი რეკომენდაციის შესრულების სტატუსი - განმავითარებელი რეკომენდაცია **გათვალისწინებულია.**
ექსპერტის განცხადებით, თუკი შევაჯამებთ ზემოაღნიშნულს იკვეთება, რომ დაწესებულებამ შეასრულა ყველა ის განმავითარებელი რეკომენდაცია, რაც გაცემული იყო 3.1, 4.1, 5.2 კომპონენტებთან და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა ვალერი გულბანმა დატოვა საბჭოს სხდომა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება ა. III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით გაცემული განმავითარებელი რეკომენდაციები (ახალი ვიზიტის ფარგლებში):

3.1.1 (1) - კოლეჯის რეგულაციებით არ არის განსაზღვრული ვის პრეროგატივას წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროგრამაზე დაშვების წინაპირობასა თუ რეიტინგული სიების დამტკიცების თაობაზე შესაბამის ბრძანებებთან შესაბამისობის დადგენა. დირექტორის განმარტებით, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი საბუთების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასებას უზრუნველყოფს საქმისწარმოების თანამშრომლები, რაც არ არის დარეგულირებული. ამასთან, ექსპერტები თვლიან, რომ მხოლოდ საქმისმწარმოებლის მენეჯერისა თუ სპეციალისტის კომპეტენცია (მათი სამუშაო აღწერილობებიდან გამომდინარე) ყოველთვის ვერ იქნება საკმარისი აპლიკანტის მიერ წარმოდგენილი განათლებისა თუ სხვა დოკუმენტების რელევანტურობის დასადგენად. რეკომენდებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნებისთვის, აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, კოლეჯმა უზრუნველყოს კომისიის ფორმირება, რომელიც შესაბამისი ოქმით დაადასტურებს თავის გადაწყვეტილებას აპლიკანტთათვის, წარმოდგენილი საბუთებიდან გამომდინარე, ჩარიცხვაზე რეკომენდაციის გაცემისა თუ უარის თქმის თაობაზე.

3.1.1 (1) კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია აპლიკანტთა მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის წარსადგენი საბუთების ნუსხა. საქართველოს კანონის ,,თავდაცვის კოდექსი" მე-60 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ,,დამსაქმებელი, საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია 17 წელს მიღწეული პირი (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე არ მიიღოს სამსახურში, არ ჩარიცხოს საგანმანათლებლო დაწესებულებაში". აღნიშნული მოთხოვნა არ არის ასახული რაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. *რეკომენდებულია კოლეჯმა პროფესიულ საგანმა ნათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის სავალდებულოდ განსაზღვროს აპლიკანტის (გარდა იმ პირისა, რომელიც წვევამდელთა სამხედრო აღრიცხვას არ ექვემდებარება) მიერ წვევამდელის სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის ან წვევამდელის სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.*

3.1.1. (4) - სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 22 - ე მუხლი არეგულირებს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ხელშეკრულების გაფორმების საკითხებს. აღნიშნული მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტებში განსხვავებულადაა ფორმულირებული სსსმ/შშმ პროფესიულ სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. კერძოდ, მე-2 პუნქტის მიხედვით სსსმ /შშმ პირის შემთხვევაში ხელშეკრულება ფორმდება აპლიკანტის კანონიერ წარმომადგენელთან, ხოლო მე-8 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია, რომ ხელშეკრულებას ხელს აწერენ დირექტორი და სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში). ეს უკანასკნელი არის სწორი ჩანაწერი, მაგრამ საჭიროებს დაზუსტებას - რა შემთხვევაში იკვეთება ზემოაღნიშნული *საჭიროება.* ***რეკომენდებულია*** *კოლეჯმა შესაბამისობაში მოიყვანოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 22- ე მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტები და გაითვალისწინოს, რომ არასრულწლოვანი/ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე/ქმედუუნარო/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება პროფესიული სტუდენტის კანონიერ წარმომადგენელთან/მეურვესთან/მზრუნველთან/მხარდამჭერთან, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის (კანონიერი წარმომადგენლობა/მეურვეობა/მზრუნველობა/მხარდაჭერა) წარმოდგენის საფუძველზე.*

4.1.1. (2) საქმისწარმოების მენეჯერის სამუშაო აღწერილობის, კოლეჯის საქმისწარმოების წესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წესის შეპირისპირებითი ანალიზით იკვეთება, რომ საქმისწარმოების მენეჯერის სამუშაო აღწერილობა არ მოიცავს ინფორმაციას მისი ისეთი მნიშვნელოვანი მოვალეობების თაობაზე, როგორიცაა: როგორიცაა: ელექტრონული საქმისწარმოების წარმართვა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა e-flow-ს და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით; ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გვერდზე განსათავსებელი ტექსტის მომზადება; პასუხისმგებლობა კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე. აღნიშნული მოვალეობები მასზე დაკისრებულია კოლეჯის საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის წესების ფარგლებში. *რეკომენდებულია დაწესებულებამ გადახედოს საქმისწარმოების მენეჯერის სამუშაო აღწერილობას და მასში ასახოს დირექტორის ბრძანებებით მისთვის განსაზღვრული არსებითად მნიშვნელოვანი მოვალეობები: ელექტრონული საქმისწარმოების წარმართვა ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა e-flow-ს და ელექტრონული ფოსტის გამოყენებით; ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გვერდზე განსათავსებელი ტექსტის მომზადება; პასუხისმგებლობა კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.*

4.1.2.(3) კოლეჯის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, სამეურნეო სამსახურის მენეჯერის, IT სპეციალისტის, საქმისწარმოების მენეჯერის, საქმისწარმოების სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვრულია უმაღლესი ან/და პროფესიული განათლება. ***რეკომენდებულია****საკვალიფიკაციო მოთხოვნად განისაზღვროს განათლების ის მინიმალური დონე, რაც საკმარისია შესაბამისი პოზიციის დასაკავებლად. ასევე, დაწესებულებამ გაანალიზოს ორგანიზაციაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები, საჭირო კვალიფიკაციები და იქ სადაც პროფესიული განათლების მიმართულებით არსებობს შესაბამისი კვალიფიკაცია, მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნად განსაზღვროს პროფესიული განათლება. აღნიშნულით კოლეჯი ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.*

4.2.1.(1) დაწესებულებამ წარმოადგინა პერსონალის თვითშეფასებისა და საჭიროებათა კვლევის მასალები. პერსონალის თვითშეფასება წარმოადგენს თანამშრომელთა შეფასების სისტემის მხოლოდ ერთ ნაწილს და ვერ იძლევა პერსონალის შეფასების ერთიანი სურათის დანახვის შესაძლებლობას. ასევე, კოლეჯის ადმინისტრაციის ერთეულების საქმიანობის შეფასების მიზნით შემუშავებული კითხვარიც საჭიროებს განახლებას, რადგან შეკითხვათა ნაწილი ძალიან ზოგადია და ვერ იძლევა კონკრეტულ ინფორმაციას. *კოლეჯს ეძლევა* ***განმავითარებელი რეკომენდაცია*** *უზრუნველყოს თანამშრომელთა შეფასების მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტების გადახედვა და გაუმჯობესება, რათა შეძლოს მეტად კონკრეტული და საჭირო ინფორმაციის მიღება პერსონალის შემდგომი განვითარების მიზნებისთვის.*

4.2.1. (2) პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული აქტივობების, მტკიცებულებების სისტემატიზაციის მიზნით **რეკომენდებულია** დაწესებულებამ შეიმუშაოს მექანიზმი რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება პერსონალის კვალიფიკაციის და განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის პირად საქმესა და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში განთავსება და პერიოდულად CV-ს განახლება.

4.2.1.(5) დადასტურებულია, რომ კოლეჯში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. მაგრამ დაწესებულებაში პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების გაწერილი მექანიზმები არ არსებობს. პერსონალის განვითარების პროცესების გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებას **ეძლევა რეკომენდაცია** გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირების, რეაგირების მექანიზმები და მასზე პასუხისმგებელი პირები.

5.2.1. (3). პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტში არ არის ასახული ის საკითხები, რომლებიც ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონიდან

გამომდინარე 2024 წლის 01 ივნისიდან შედის ძალაში. გასათვალისწინებელია, ასევე ის მოცემულობაც, რომ 2024 წლის 01 ივნისიდან დაწესებულებას უნდა ჰყავდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ან ოფიცრის ფუნქციების შესრულებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი. ***რეკომენდებულია,*** *რომ დაწესებულებამ პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტში ასახოს ის საკითხები, რომლებიც ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად 2024 წლის 01 ივნისიდან შედის ძალაში და ასევე, 2024 წლის პირველ ივნისამდე უზრუნველყოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა ან უზრუნველყოს აღნიშნულ საკითხზე მომსახურების ხელშეკრულების გაფორმება.*

5.2.2.(1) კოლეჯს საქმისწარმოების მიზნებისთვის გათვალისწინებული აქვს ორი პოზიცია: საქმისწარმოების მენეჯერი და საქმისწარმოების სპეციალისტი. ამასთან, კოლეჯის საქმისწარმოების წესში არ არის ნახსენები საქმისწარმოების სპეციალისტის პოზიცია, რომელიც სამუშაო აღწერილობის მიხედვით ძირითადად ასრულებს საქმისწარმოების მენეჯერის დავალებებს, მათ შორის ისეთს, როგორიცაა: კოლეჯის თანამშრომელთა (ადმინისტრაციული, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, დამხმარე პერსონალი), პროფესიული სტუდენტების/მსმენელების პირადი საქმეების ტექნიკური დამუშავება; ცნობების დამზადება, ტექნიკურად ოქმების მოწესრიგება და სხვ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა **განმავითარებელი რეკომენდაცია,** საქმისწარმოების წესში აისახოს ინფორმაცია საქმისწარმოების სპეციალისტის მიერ განსახორციელებელ მოვალეობებთან დაკავშირებით.

5.2.2 (2) ელექტრონული საქმისწარმოებისთვის (Eflow) დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი მომხმარებელი (Uzer) **რეკომენდებულია,** მართვის პროცესების გაუმჯობესების მიზნით, დაწესებულებამ ეტაპობრივად გაზარდოს ელექტრონული საქმისწარმოებისთვის (Eflow) მომხმარებელთა (Uzer)ოდენობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ინფორმაციის ტექნოლოგია"

ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულების მიერ შესაბამისობის გეგმის გათვალისწინებით განხორციელებული აქტივობები და დადასტურებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა რესურსის ფლობა. წარმოდგენილია მატერიალური რესურსის შესყიდვის მტკიცებულებები (სასაქონლო ზედნადებები და მიღება- ჩაბარების აქტები). ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამისთვის კოლეჯს განსაზღვრული აქვს ერთი სასწავლო გარემო. მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, სწავლა განხორციელდება ორ ცვლაში. შესაბამისად, კვოტაც კოლეჯს მიღებული აქვს - 30 პროფესიული სტუდენტი. ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 5 დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირია. თითოეული მოდულისთვის გათვალისწინებულია მინიმუმ ორი განმახორციელებელი. ვიზიტის პერიოდში შედგა ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებლებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტების მიერ განხორციელდა კოლეჯის ბიბლიოთეკის დათვალიერება. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსები ხელმისაწვდომია მატერიალური, ნაწილი კი ელექტრონული სახით.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის ნაწილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციაც, რაც არის

დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმი. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი არის პასუხისმგებელი, თუმცა პროცესში ჩართული არიან პროგრამის განმახორციელებლები, დარგის სპეციალისტები და სხვა პირები საჭიროების შესაბამისად. დოკუმენტის ანალიზით დგინდება, რომ კოლეჯს სწორად აქვს გააზრებული ვერიფიკაციის პროცესი. განსაზღვრულია ვერიფიკაციის მიმართულებები, პროცედურა, პასუხისმგებელი პირები იმგვარადაა მოაზრებული, რომ არ იკვეთება ინტერესთა კონფლიქტი. დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის 2024 წლის გეგმა, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, მიმდინარე პროგრამების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს კითხვით, დამატებით იყო თუ არა რაიმე წყარო პერსონალის შეფასებისა, გარდა თვითშეფასებისა, მაგალითად, როგორიცაა სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში მოიცავს პერსონალის შეფასების კითხვებსაც.

ექსპერტის განმარტებით, სწორედ 360 გრადუსიანი შეფასების არქონის გამო გაიცა რეკომენდაცია მეთოდოლოგიასთან მიმართებით. გარდა თვითშეფასებისა, წარმოდგენილი იყო სტუდენტთა კმაყოფილების კვლევაც, რომელიც შეიძლება გარკვეულწილად ჩაითვალოს შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად, თუმცა ისიც არ ფარავდა სრულყოფილად ამ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა ექსპერტს კითხვით, რამდენად საჭირო იყო რეკომენდაციის გაცემა აპლიკანტთა დოკუმენტაციის მიღებასთან დაკავშირებით, თუკი დაწესებულება ამ პროცესს გამართულად ახორციელებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოეხმაურა ზემოაღნიშნულ კითხვას და განაცხადა, რომ ამ რეკომენდაციის არსი იმაში მდგომარეობდა, თუკი სამომავლოდ დაწესებულებას ახალი პროგრამების დამატებისას შეექმნებოდა სირთულეები აპლიკანტთა მიღების წინაპირობის დარეგულირებისას, მას ექნებოდა მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ რეკომენდაციაში საუბარი იყო აპლიკანტთა მიღებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შეგროვებაზე, რაც რთული საქმეა. მნიშვნელოვანია პროგრამის წინაპირობასთან ერთად სწორად განისაზღვროს სტუდენტის ჩარიცხვა, თუ რომელი საფეხურისა და რომელი დონის განათლება აქვს. ექსპერტებმა აღნიშნულ საკითხს მიაქციეს ყურადღება მესამე სტანდარტიდან გამომდინარე, რადგან მექანიზმებში მკაფიოდ არ ფიქსირდებოდა, თუ როგორ იყო განაწილებული პასუხისმგებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს გაეკეთებინა კომენტარი განხილულ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და საბჭოს წევრებს თანამშრომლობისთვის და გაცემული რეკომენდაციებისთვის. მან აღნიშნა, რომ მათთვის ყველა გაცემული განმავითარებელი რეკომენდაცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგმებოდა კოლეჯის განვითარებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგია" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ზუგდიდის აკადემიაში (ს/კ: 420002026) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე "ინფორმაციის ტექნოლოგია" განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2024 წლის 7 ივნისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
ბოლქვაძე ტიტე